*დანართი №2*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

## სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე:

**შორენა ხუბუნაია,** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

წევრი:

**თამარ ახალაძე,** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

*ქ. თბილისი, 2019*

*დანართი №2*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **236098851**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

*ქ. თბილისი, 2019*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31ოქტომბრის N1040 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია (ჯგუფის თავმჯდომარე), თამარ ახალაძე (ჯგუფის წევრი), 2019 წლის 11, 12 და 13 ნოემბერს განახორციელა ვიზიტი **სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (შემდგომში „კოლეჯი/დაწესებულება“)**. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - **„რძის პროდუქტების წარმოება,“ „მეხილეობა,“ „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „ბუღალტრული აღრიცხვა“** ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი ***(დანართი №1).***

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი აქტები და გადამოწმდა დაწესებულების მიერ მათი შესრულების პრაქტიკა, რისთვისაც განხორციელდა ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი მტკიცებულებები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პრაქტიკული კომპონენტის (მათ შორის დუალური მიდგომით) განხორციელების მიზნით შერჩეული ობიექტების ხელმძღვანელებთან და ინსტრუქტორებთან.

ზემოხსენებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რესურსები და განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე დაინტერესდა დაწესებულებაში განხორციელებული ექსპერტთა წინარე ვიზიტებით. კოლეჯში ავტორიზაციის ექსპერტთა ბოლო ვიზიტი შედგა 2019 წლის 13 და 14 მარტს. ექსპერტთა დასკვნაში მითითებული იყო რეკომენდაციები, რომელთა შესრულების თაობაზე დადგინდა:

1. განხორციელდა ცვლილება "ხის მხატვრული დამუშავების", "მებაღეობისა" და "სასტუმრო მომსახურების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში. კერძოდ, "ხის მხატვრული დამუშავების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად და პროფესიულ, ხოლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

"სასტუმრო მომსახურებისა" და "მებაღეობის" ზოგად მოდულებში გასწორდა ტექნიკური უზუსტობა (წაიშალა კრედიტების რაოდენობა თითოეული სწავლის შედეგისათვის);
2. სასტუმრო მომსახურების (დუალური მიდგომით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაფორმდა დამატებითი ხელშეკრულება ორ პრაქტიკის ობიექტთან - სასტუმრო "KETINO'S HOME" და სასტუმრო "სნო". შესაბამისად, დაბა სტეფანწმინდაში დუალური პროგრამის პროფესიული სტუდენტები გადანაწილდებიან სამ პრაქტიკის ობიექტზე;
3. განხორციელდა ცვლილება სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის შინაგანაწესში, სადაც გაიწერა პროფესიულ მასწავლებელთა მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები (შინაგანაწესის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი). კერძოდ, "პროფესიული მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლება და პროფესიული ან უმაღლესი განათლება, შესაბამისი მიმართულებით ან/და შესაბამისი მიმართულებით მუშაობის ან/და სწავლების მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება".
4. პროფესიულ მასწავლებელთა გადამზადების მიზნით სტუდენტთა შეფასებისა და სწავლის შედეგების დადასტურების ნაწილში, კოლეჯმა ტრენინგების დაგეგმვის თხოვნით მიმართა სსიპ - მასწავლებელთა პროფესიულ განვითარების ეროვნულ ცენტრს, ასევე ჩატარდა სამუშაო შეხვედრები დაწესებულების ბაზაზეც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:**

- **ინფორმაციის ტექნოლოგია**
- **ბუღალტრული აღრიცხვა**
- **მეხილეობა**

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | მუხლი 6 | ■ | □ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | მუხლი 6 / პუნქტი ა) | ■ | □ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. | მუხლი 6 / პუნქტი ბ) | ■ | □ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | მუხლი 6 / პუნქტი გ) | ■ | □ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული | მუხლი 6 / | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

*ქ. თბილისი, 2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. | **პუნქტი დ)** | | |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | □ | ■ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | □ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | □ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | □ | ■ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | □ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | □ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

*ქ. თბილისი, 2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | □ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | □ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | □ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | □ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | □ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:**

- **რძის პროდუქების წარმოება**

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ■ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | ☐ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს, | **მუხლი 6 /** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

*ქ. თბილისი, 2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები . | **პუნქტი ე)** | | |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | □ | ■ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | □ | ■ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | □ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | □ | ■ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | □ | ■ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | □ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | □ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | □ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

***ქ. თბილისი, 2019***

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | ☐ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | ☐ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის მიერ საუკეთესო პრაქტიკად მიჩნეული გარემოებებია:

- კოლეჯი ახორციელებს 4 პროგრამას სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებით და ამ ეტაპზე ჰყავს 7 კურსდამთავრებული, რომლებმაც რეალურ სამუშაო გარემოში შეიძინეს ცოდნა და დასაქმდნენ პრაქტიკის განმახორციელებელ საწარმოებში;
- დაწესებულებას ჰყავს 5 საერთაშორისო პარტნიორი საფრანგეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში. კერძოდ, ტრაქტორისტ-მემანქანის, მეფუტკრეობის, სატყეო საქმის პროგრამის ფარგლებში. გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ჩეხეთის რესპუბლიკაში, სასწავლო-საგანმანათლებლო ვიზიტით იმყოფებოდა დაწესებულების 7 პროფესიული სტუდენტი, 2 პროფესიული მასწავლებელი და 4 ადმინისტრაციის წარმომადგენელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

*ქ. თბილისი, 2019*

*დანართი №2*

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი II - მატერიალური რესურსი

ქვესტანდარტი 2.1

*1. რძის პროდუქტების წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობა არ არის სრულად წარმოდგენილი.*
*(იხ. დანართი №8 - სატენდერო დოკუმენტაცია)*

ქვესტანდარტი 2.5

*დაწესებულებაში არასრულფასოვნად მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის რეგისტრაცია.*

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი I - საგანმანათლებლო პროგრამები

ქვესტანდარტი 1.1

1. *რეკომენდებულია დაწესებულებამ დაარეგულიროს იმ მოდულების ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასების საორგანიზაციო საკითხები, რომლებიც წარმოადგენენ სხვა მოდულებზე დაშვების წინაპირობას;*
2. *რეკომენდებულია დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში არ იყოს სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები, პროფესიული განათლების მასწავლებელმა დაგეგმოს მოდულის განხორციელებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიდგომები. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელების დროს, საჭიროების შემთხვევაში პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს უფლება შეცვალოს მიდგომები და შეარჩიოს სწავლის შედეგების მიღწევისათვის ოპტიმალური გზები, დაგეგმვის აღნიშნული პრაქტიკა ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის ამაღლებას და ხარისხის ციკლის - „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე“ უზრუნველყოფას;*
3. *რეკომენდებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულური მიდგომით სწავლების მიზნებისათვის პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავდეს: ინფორმაციას, საწარმოში განსახორციელებელი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ, საწარმოში პროფესიულ სტუდენტთა დაშვების პირობებს,*

*პერიოდულობას და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პირობებს;*

4. *რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დუალური სწავლების მიდგომით განხორციელებაში ჩართული ინსტრუქტორების კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილების შესაბამისობა/დადასტურება კოლეჯის შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებთან;*
5. *რეკომენდებულია დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მიეთითოს მათი განხორციელების ადგილი;*
6. *რეკომენდებულია დაწესებულებამ აწარმოოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისების რეგისტრაცია.*

*ქვესტანდარტი 1.4*

*1. რეკომენდებულია დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძვლები შესაბამისობაში იყოს დაწესებულების შიდა მარეგულირებელ აქტებთან და დაზუსტდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები;*

*2. რეკომენდებულია დაწესებულებამ არაფორმალური განათლების აღიარების წესი და პროცედურები მოიყვანოს შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის №188/ნ ბრძანების მოთხოვნებთან;*

*3.* ***რეკომენდებულია დაწესებულებამ კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშაოს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები****;*

*4. რეკომენდებულია დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები მოიყვანოს შესაბამისობაში შიდა მარეგულირებელი აქტის მოთხოვნებთან, კერძოდ პირად საქმეებში განათავსოს დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი და დაამუშაოს საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად.*

*ქვესტანდარტი 1.6*

*1. რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი მექანიზმები, რომელიც სრულად შეაფასებს დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესს;*

*2. რეკომენდებულია ხარისხის მართვის მენეჯერმა შეიმუშაოს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმა/სტრატეგია, გეგმის მიხედვით განახორციელოს ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფის მიზნებისათვის შეფასება/მონიტორინგი და გასცეს რეკომენდაციები პროცესების სრულყოფისათვის;*

*3. რეკომენდებულია პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია განხორციელდეს ხარისხის მართვის მენეჯერის ან*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

***ქ. თბილისი, 2019***

*ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, რომელსაც უხელმძღვანელებს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო შეფასების ინსტრუმენტები და კალენდარული გეგმები ნაცვლად ხარისხის მართვის მენეჯერისა, შეითანხმოს სხვა სამსახურმა/ჯგუფმა, მათ შორის შესაძლებელია აღნიშნული განახორციელოს სასწავლო პროცესის მენეჯერმა დარგის სხვა მასწავლებლების ჩართულობით. ვინაიდან, ხარისხის მართვის მენეჯერს ექნება ინტერესთა კონფლიქტი იმ პროცესის შეფასებასთან, რომელიც იქნება მასთან შეთანხმებული (შეფასების ინსტრუმენტები, კალენდარული გეგმები და სხვა).*

## სტანდარტი II - მატერიალური რესურსი

### *ქვესტანდარტი 2.9*

*1. რეკომენდებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის წესში გაიწეროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცედურა, მონიტორინგის პერიოდულობა, შესრულებული აქტივობების შეფასებისა და მათი კორექტირების/ცვლილებების შეტანის პროცედურები და აღნიშნულზე პასუხისმგებელი ორგანო/პირი/პირთა ჯგუფი;*

*2. რეკომენდებულია დაწესებულების მიერ შემუშავებული წლიური გეგმის შესრულების ანგარიში მოიცავდეს ინფორმაციას დაწესებულების მიერ დაგეგმილი აქტივობების შესრულების, შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების თაობაზე.*

## სტანდარტი III - ადამიანური რესურსი

### *ქვესტანდარტი 3.2*

*1. რეკომენდებულია ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანად წარმართვისა და თანამედროვე მიდგომებით სწავლების განხორციელებისათვის, პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჰქონდეთ IT-Essential-ის სასწავლო კურსის ინსტრუქტორის სტატუსი;*

*2. რეკომენდებულია ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის გაზრდა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

## VII. დაწესებულების მისია

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის დაწესებულების მისიაა მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის. რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, კოლეჯი ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და მომსახურების სფეროზე, რითაც ხელს უწყობს რეგიონის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებას.

კოლეჯი:

- ნერგავს თანამედროვე ტექნოლოგიებს
- ზრუნავს კადრების მუდმივ განვითარებაზე
- ამყარებს კავშირებს კერძო სექტორთან და უცხოელ პარტნიორებთან
- ხელს უწყობს სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვას
- ხელს უწყობს დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობასა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას პროფესიული გადამზადების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შეთავაზებით
- ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა და თვითდასაქმებაში კონსულტირების გზით
- აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საერთო მიზნების (კვალიფიციური კადრების მომზადება და ეკონომიკის განვითარება) მისაღწევად.

*დანართი №2*

## სტანდარტების შეფასება

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 13 დეკემბრის №04-111 ბრძანებით დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი აქტის - **„ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“** მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე პასუხისმგებელი პირი არის დაწესებულების დირექტორი. ამავე წესის მე-2 მუხლის მიხედვით, მოდულური პროგრამის დამატების მიზნით, დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი და/ან რეესტრის წარმოების სპეციალისტი იძიებენ შემდეგი სახის ინფორმაციას: კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზს - ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ და/ან სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვენებლების მიხედვითა და მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით და/ან შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებსა და დასაქმებულთა კონკრეტულ მოთხოვნებს და ინიცირებით მიმართავენ ხარისხის მართვის მენეჯერს მოდულური პროგრამების დამატების შესახებ, რის შემდგომ ხარისხის მართვის მენეჯერი დაწესებულების დირექტორს სამსახურებრივი ბარათის

საფუძველზე წარუდგენს ინიციატივას მოდულური პროგრამის დამატების თაობაზე.

- მოდულური პროგრამების შემუშავება ხდება ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. მოდულური პროგრამის პროექტს ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა დაწესებულების მიერ ზემოაღნიშნული პროცედურების შესრულებასთან დაკავშირებით და გამოთხოვილ იქნა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დამტკიცების პროცედურების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელთა განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით:

- ოთხივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნებისათვის, წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომელიც ეყრდნობა ბაზრის კვლევის შედეგებს. აღნიშნულის მიზნებისათვის გამოყენებულია შემდეგი დოკუმენტები:
    - ➢ *შრომის ბაზრის ანალიზი.* 2018წ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=e2d1495d-2bd1-44d6-b800-11a0210b9c13
    - ➢ *მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2015-2021წლებისთვის* http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/mcxeta-mtianetis_regionis_ganvitarebis_strategia_2014-2021_clebisatvis_0.pdf
    - ➢ ა. დიაკონიძე, თ. მატარაძე. *ვაკანსიების მონიტორინგი რეგიონულ შრომის ბაზარზე.* 2018. საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. http://ssa.gov.ge/files/01_GEO/PUBLIKACIEBI/FILES/angarishi.pdf
    - ➢ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის დადგენილება „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" http://mes.gov.ge/uploads/files/dadgenileba-N9%2028.01.19.pdf
    - ➢ სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროფესიათა ჩამონათვალი, შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში (2019) http://ssa.gov.ge/files/01_GEO/Dasaqmeba/Samush-Madziebl/27.03.2019.pdf
- ოთხივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურები შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ დადგენილ წესთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

- ოთხივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 23 სექტემბრის №04-95 ბრძანებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი ოთხივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან, რის შედეგადაც დადგინდა:

1. **ბუღალტრული აღრიცხვა**

დაწესებულებას სურს პროგრამა განახორციელოს კოლეჯში სწავლების (მოდულური) მიდგომით, შემდეგ ობიექტებზე:

- მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში (ძირითადი სასწავლო კორპუსი)
- დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა N21 (დამატებითი სასწავლო კორპუსი)
- დაბა სტეფანწმინდა (დამატებითი სასწავლო კორპუსი)

საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა, პროგრამის მე-10 პუნქტში - **სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება** მოცემულია შემდეგი ჩანაწერი - **განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.** ექსპერტთა ჯგუფის აზრით, დაწესებულების მიერ შემუშავებულ/ადაპტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაში არ უნდა იყოს სარეკომენდაციო ჩანაწერები.

სასწავლო გეგმაში პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა არ სცდება კანონმდებლობით დადგენილ 40 საათიან დატვირთვას.

მოდულების დაგეგმვისას გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები. პროგრამის მიხედვით, პროფესიული სტუდენტები, რომლებიც ვერ დაძლევენ მოდულით განსაზღვრულ შედეგებს, აქვთ შესაძლებლობა პროგრამის დასრულებამდე სცადონ სწავლის შედეგების დადასტურება. თუმცა, არც ერთ მარეგულირებელ აქტში არაა მოცემული დებულებები იმ მოდულების ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების გადაბარების საორგანიზაციო საკითხების თაობაზე, რომლებიც წარმოადგენენ სხვა მოდულებზე დაშვების წინაპირობას.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 99 კრედიტი, ხანგრძლივობა: 65 სასწავლო კვირა, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - პროგრამის მოცულობა: 129 კრედიტი, ხანგრძლივობა: 86 კვირა.

ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად

სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 99 (არაქართულენოვანმა პროფესიულ სტუდენტმა -129) კრედიტი, რომელთაგან 11 (არაქართულენოვანთათვის - 41) კრედიტი არის ზოგადი მოდულები, ხოლო 88 კრედიტი არის პროფესიული მოდულები.

მოდულები ნაწილობრივ ადაპტირებულია. მოდულებში - უცხოური ენა, ბიზნეს ინგლისური, მეწარმეობა, გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა და სხვა, მოცემულია რეკომენდაციები მოდულის განხორციელების მიდგომებთან დაკავშირებით. პროგრამის არც ერთ მოდულში არ არის დაზუსტებული პროფესიული სტუდენტის შეფასების მიდგომები. ყველა მოდულის მესამე ნაწილში - „მტკიცებულება/მტკიცებულებები სტუდენტის პორტფოლიოსთვის" მოცემულია მტკიცებულებათა ის ალტერნატიული ჩამონათვალი, რაც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით. სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში არ იყოს სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები, პროფესიული განათლების მასწავლებელმა დაგეგმოს მოდულის განხორციელებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიდგომები. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელების დროს, საჭიროების შემთხვევაში პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს უფლება შეცვალოს მიდგომები და შეარჩიოს სწავლის შედეგების მიღწევისათვის ოპტიმალური გზები, დაგეგმვის აღნიშნული პრაქტიკა ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის ამაღლებას და ხარისხის ციკლის - „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე" უზრუნველყოფას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის, ასეთ პირთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, მოდულებზე მათი დაშვება მოხდება მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ ობიექტებთან:

- **მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია.** ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 2019 წლის 12 ივნისს და მოქმედებს 2021 წლამდე. მემორანდუმში საუბარია, რომ კოლეჯი და საწარმო ითანამშრომლებენ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით და უზრუნველყოფს არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე. თუმცა, არსად არაა მითითებული (საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები, მემორანდუმი) თუ რომელი მოდული ან სწავლის შედეგი მიიღწევა „საწარმოში". მემორანდუმის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის მიხედვით - „საწარმო უზრუნველყოფს არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით ირკვევა, რომ საწარმო ერთჯერადად მიიღებს არაუმეტეს 15 პროფესიულ სტუდენტს.

- **შპს „ელ აუდიტი“.** ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 2019 წლის 10 ივნისს და მოქმედებს უვადოდ. მემორანდუმში საუბარია, რომ კოლეჯი და საწარმო ითანამშრომლებენ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით და უზრუნველყოფს არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე, ხოლო ერთდროულად არაუმეტეს 3 სტუდენტის სტაჟირებას. თუმცა, არსად არაა მითითებული (საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები, მემორანდუმი) თუ რომელი მოდული ან სწავლის შედეგი მიიღწევა „საწარმოში“. მემორანდუმის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის მიხედვით - „საწარმო უზრუნველყოფს არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით ირკვევა, რომ საწარმო ერთჯერადად მიიღებს არაუმეტეს 15 პროფესიულ სტუდენტს.
- **დაბა თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.** ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 2019 წლის 27 მაისს და მოქმედებს უვადოდ. მემორანდუმში საუბარია, რომ კოლეჯი და საწარმო ითანამშრომლებენ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით და უზრუნველყოფს არაუმეტეს 10 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე. თუმცა, არსად არაა მითითებული (საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები, მემორანდუმი) თუ რომელი მოდული ან სწავლის შედეგი მიიღწევა „საწარმოში“. მემორანდუმის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის მიხედვით - „საწარმო უზრუნველყოფს არაუმეტეს 10 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით ირკვევა, რომ საწარმო ერთჯერადად მიიღებს არაუმეტეს 10 პროფესიულ სტუდენტს.
- **თიანეთის მუნიციპალიტეტის მერია.** ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 2019 წლის 27 მაისს და მოქმედებს უვადოდ. მემორანდუმში საუბარია, რომ კოლეჯი და საწარმო ითანამშრომლებენ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით და უზრუნველყოფს არაუმეტეს 3 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე. თუმცა, არსად არაა მითითებული (საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები, მემორანდუმი) თუ რომელი მოდული ან სწავლის შედეგი მიიღწევა „საწარმოში“. მემორანდუმის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის მიხედვით - „საწარმო უზრუნველყოფს არაუმეტეს 3 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით ირკვევა, რომ საწარმო ერთჯერადად მიიღებს არაუმეტეს 3 პროფესიულ სტუდენტს.
- **დაბა სტეფანწმინდის N1 საჯარო სკოლა.** ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

გაფორმებულია 2019 წლის 20 მაისს და მოქმედებს უვადოდ. მემორანდუმში საუბარია, რომ კოლეჯი და საწარმო ითანამშრომლებენ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით და უზრუნველყოფს არაუმეტეს 10 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე. თუმცა, არსად არაა მითითებული (საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები, მემორანდუმი) თუ რომელი მოდული ან სწავლის შედეგი მიიღწევა „საწარმოში". მემორანდუმის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ზ) ქვეპუნქტის მიხედვით - „საწარმო უზრუნველყოფს არაუმეტეს 10 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით ირკვევა, რომ საწარმო ერთჯერადად მიიღებს არაუმეტეს 10 პროფესიულ სტუდენტს.

- **ყაზბეგის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.** ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 2019 წლის 20 მაისს და მოქმედებს უვადოდ. მემორანდუმში საუბარია, რომ კოლეჯი და საწარმო ითანამშრომლებენ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით და უზრუნველყოფს არაუმეტეს 10 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე. თუმცა, არსად არაა მითითებული (საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები, მემორანდუმი) თუ რომელი მოდული ან სწავლის შედეგი მიიღწევა „საწარმოში". მემორანდუმის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ზ) ქვეპუნქტის მიხედვით - „საწარმო უზრუნველყოფს არაუმეტეს 10 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით ირკვევა, რომ საწარმო ერთჯერადად მიიღებს არაუმეტეს 10 პროფესიულ სტუდენტს.

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შესაძლებელია პრაქტიკის ობიექტის გარეშე, სასწავლებლის ბაზაზე, თუმცა ვინაიდან დაწესებულებას განზრახული აქვს სხვა ორგანიზაციების ჩართვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, სასურველია დაზუსტდეს: რომელ მოდულს ან სწავლის შედეგებს განახორციელებს საწარმოსთან ერთად, საწარმოში პროფესიულ სტუდენტთა დაშვების პირობები, პერიოდულობა და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პირობები.

## 2. ინფორმაციის ტექნოლოგია

დაწესებულებას სურს პროგრამა განახორციელოს კოლეჯში სწავლების (მოდულური) მიდგომით, შემდეგ ობიექტებზე:

- მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში (ძირითადი სასწავლო კორპუსი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

- დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა N21 (დამატებითი სასწავლო კორპუსი)

საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა, პროგრამის მე-10 პუნქტში - **სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება** მოცემულია შემდეგი ჩანაწერი - **განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.** ექსპერტთა ჯგუფის აზრით, დაწესებულების მიერ შემუშავებულ/ადაპტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაში არ უნდა იყოს სარეკომენდაციო ჩანაწერები.

სასწავლო გეგმაში პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა არ სცდება კანონმდებლობით დადგენილ 40 საათიან დატვირთვას.

მოდულების დაგეგმვისას დარღვეული იყო მოდულზე დაშვების წინაპირობები. კერძოდ, მოდულზე - **პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში** დაშვების წინაპირობაა *ყველა პროფესიული მოდულის* გავლა. დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმის მიხედვით, პარალელურად ისწავლებოდა ისეთი მოდულები, როგორიცაა: **პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში, კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა**, **კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები**, **დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support**. თუმცა, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 11 ნოემბრის №04-123 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში და გასწორდა მოდულებზე დაშვების წინაპირობები ***(დანართი №2).***

პროგრამის მიხედვით, პროფესიული სტუდენტები, რომლებიც ვერ დაძლევენ მოდულით განსაზღვრულ შედეგებს, აქვთ შესაძლებლობა პროგრამის დასრულებამდე სცადონ სწავლის შედეგების დადასტურება. თუმცა, არც ერთ მარეგულირებელ აქტში არაა მოცემული დებულებები იმ მოდულების ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების გადაბარების საორგანიზაციო საკითხების თაობაზე, რომლებიც წარმოადგენენ სხვა მოდულებზე დაშვების წინაპირობას.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 60 კრედიტი, ხანგრძლივობა: 43 სასწავლო კვირა, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - პროგრამის მოცულობა: 75 კრედიტი, ხანგრძლივობა: 53 კვირა.

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 60 (არაქართულენოვანმა პროფესიულ სტუდენტმა -75) კრედიტი, რომელთაგან 16

(არაქართულენოვანთათვის - 31) კრედიტი არის ზოგადი მოდულები, ხოლო 44 კრედიტი არის პროფესიული მოდულები.

მოდულები ნაწილობრივ ადაპტირებულია. პროგრამის არც ერთ მოდულში არ არის მითითებული მოდულის განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტის შეფასების მიდგომები. ყველა მოდულის მესამე ნაწილში - „მტკიცებულება/მტკიცებულებები სტუდენტის პორტფოლიოსთვის“ მოცემულია მტკიცებულებათა ის ალტერნატიული ჩამონათვალი, რაც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით. სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში არ იყოს სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები, პროფესიული განათლების მასწავლებელმა დაგეგმოს მოდულის განხორციელებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიდგომები. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელების დროს, საჭიროების შემთხვევაში პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს უფლება შეცვალოს მიდგომები და შეარჩიოს სწავლის შედეგების მიღწევისათვის ოპტიმალური გზები, დაგეგმვის აღნიშნული პრაქტიკა ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის ამაღლებას და ხარისხის ციკლის - „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე“ უზრუნველყოფას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის, ასეთ პირთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით მოდულებზე მათი დაშვება მოხდება მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ ობიექტებთან:

- **შპს „ენ ჯი ეს გრუპი“.** ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 2019 წლის 18 ივნისს და მოქმედებს უვადოდ. მემორანდუმში საუბარია, რომ კოლეჯი და საწარმო ითანამშრომლებენ **ინფორმაციული ტექნოლოგიის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით და უზრუნველყოფს არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე და არაუმეტეს 3 პროფესიული სტუდენტის სტაჟირებას. თუმცა, არსად არაა მითითებული (საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები, მემორანდუმი) თუ რომელი მოდული ან სწავლის შედეგი მიიღწევა „საწარმოში“. მემორანდუმის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ზ) ქვეპუნქტის მიხედვით - „საწარმო უზრუნველყოფს არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით ირკვევა, რომ საწარმო ერთჯერადად მიიღებს არაუმეტეს 15 პროფესიულ სტუდენტს.
- **მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია.** ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 2019 წლის 12 ივნისს და მოქმედებს 2021 წლამდე. მემორანდუმში საუბარია, რომ კოლეჯი და საწარმო ითანამშრომლებენ **ინფორმაციული ტექნოლოგიის**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------

დაწესებულების უპირატესობები, პარტნიორების შესახებ ინფორმაცია, სწავლების მიდგომები, მათ შორის დუალური სწავლების შესახებ ინფორმაცია, იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვს დაწესებულებას, კერძოდ: პროგრამის დასახელება, დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მიზანი, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტების მინიჭების წესი, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები და დებულებები შშმ და სსსმ პირების სწავლებისათვის. დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიზნით, დაწესებულებას ინფორმაცია მითითებული აქვს სარეკლამო ფლაერში.

კატალოგი თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე, თუმცა კატალოგში ანონსის სახით არ არის მოცემული ინფორმაცია იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელთა განხორციელების სურვილიც აქვს დაწესებულებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (2019);
2. www.tmk.edu.ge

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „რძის პროდუქტების წარმოება,“ „მეხილეობა,“ „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „ბუღალტრული

აღრიცხვა“ სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტებთან, რაც დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამების შედარებით შემდეგ ჩარჩო დოკუმენტებთან:

- ჩარჩო დოკუმენტი - **სასურსათო პროდუქტების წარმოება,** დამტკიცების თარიღი - N583/ი. 02.07.2018, ბოლო ცვლილება შეტანილია 2019 წლის 25 სექტემბერი N 878/ი;
- ჩარჩო დოკუმენტი - **სოფლის მეურნეობა**, დამტკიცების თარიღი - N628/ი. 11/07/2018, ბოლო ცვლილება შეტანილია 2019 წლის 25 სექტემბერს, ბრძანება N880/ნ;
- ჩარჩო დოკუმენტი - **ინფორმაციის ტექნოლოგია**, დამტკიცების თარიღი - N656. 13.10.2017, ბოლო ცვლილება შეტანილია 2019 წლის 25 სექტემბერს, ბრძანება N 882/ნ;
- ჩარჩო დოკუმენტი - **ბუღალტრული აღრიცხვა,** დამტკიცების თარიღი N656. 13.10.2017, ბოლო ცვლილება შეტანილია - 2019 წლის 31 იანვარს, ბრძანება N 80/ი;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **რძის პროდუქტების წარმოება,** რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 23 სექტემბრის №04-95 ბრძანებით;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **მეხილეობა,** რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 23 სექტემბრის №04-95 ბრძანებით;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **ინფორმაციის ტექნოლოგია,** რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 23 სექტემბრის №04-95 ბრძანებით;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **ბუღალტრული აღრიცხვა,** რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 23 სექტემბრის №04-95 ბრძანებით;
5. ჩარჩო დოკუმენტი - **სასურსათო პროდუქტების წარმოება,** დამტკიცების თარიღი - N583/ი. 02.07.2018, ბოლო ცვლილება შეტანილია 2019 წლის 25 სექტემბერი N 878/ი;
6. ჩარჩო დოკუმენტი - **სოფლის მეურნეობა**, დამტკიცების თარიღი - N628/ი. 11/07/2018, ბოლო ცვლილება შეტანილია 2019 წლის 25 სექტემბერს, ბრძანება N880/ნ;
7. ჩარჩო დოკუმენტი - **ინფორმაციის ტექნოლოგია**, დამტკიცების თარიღი - N656. 13.10.2017, ბოლო ცვლილება შეტანილია 2019 წლის 25 სექტემბერს, ბრძანება N 882/ნ;
8. ჩარჩო დოკუმენტი - **ბუღალტრული აღრიცხვა,** დამტკიცების თარიღი N656. 13.10.2017, ბოლო ცვლილება შეტანილია - 2019 წლის 31 იანვარს, ბრძანება N 80/ი.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

*ქ. თბილისი, 2019*

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-2 თავი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესს. ამავე წესის მე-4 მუხლის მიხედვით სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით". პროფესიული განათლების პირველად საფეხურზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების გავლა. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, სწავლის უფლების მოპოვება ხდება შესაბამისი კონკურსის და ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების ჩაბარების საფუძველზე. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ წარმოდგენილი რანჟირების დოკუმენტის და აპლიკანტთა მიერ კოლეჯში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე. კოლეჯში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და წარმოდგენის ვადებს ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი ინდივიდუალური - სამართლებრივი აქტით. აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს განიხილავს კომისია და ახდენს დაწესებულების დირექტორის ინფორმირებას ჩასარიცხი აპლიკანტების შესახებ. დოკუმენტების ვადის დასრულების შემდეგ 2 დღის ვადაში დაწესებულების დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის რიცხვას აპლიკანტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან (ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ქმედუუნაროა/შეზღუდული ქმედუნარიანია/,სპეციალური საგნამანათლებლო საჭიროების მქონე პირია ან/და შეზღუდული სესაძლებლობის მქონე პირია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან) აპლიკანტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს კოლეჯი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში ასახავს პროფესიულ საგანმანათლებლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში. აღნიშნული მექანიზმების გამართულად მუშაობის გადამოწმების მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა 2019 წლის გაზაფხულზე განხორციელებული პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურების შესრულება. დაწესებულება იცავს შიდა მარეგულირებელი აქტისა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლით** განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების გარემოებები. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლად სხვა პირობებთან ერთად განსაზღვრულია:

ა) ავადმყოფობა;

ბ) ორსულობა ან მშობიარობა;

გ) ოჯახური პირობები;

დ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა.

ექსპერტთა აზრით, **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლით** განსაზღვრულია გარემოებები, რომელთა დადგომისას შესაძლოა პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდეს სტატუსი, თუმცა დოკუმენტში არაა მოცემული პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურ-სამართლებივი აქტის გამოცემის საფუძვლები. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების პროცედურა საჭიროებს დაზუსტებას. ვინაიდან, თუ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზი (ორსულობა, ავადმყოფობა, ოჯახური პირობები, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა ცვლაში ყოფნით) ხელს არ უშლის კოლეჯში მეცადინეობებზე გამოცხადებასა და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას, არ შეიძლება იყოს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების საფუძველი. ამასთან, გაურკვეველია როგორ ადგენს დაწესებულება ზემოხსენებული გარემოებების არსებობის ფაქტის არსებობას და როგორ ხდება ამ გარემოების დასაბუთება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე ბრძანების გამოცემის მიზნებისათვის. ფაქტიური მდგომარეობის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე ***(დანართი №5)***. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე მოცემული ბრძანების ერთ-ერთი საფუძველი არის პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზად პროფესიული სტუდენტის მიერ დასახელებულია სამუშაოს დაწყება. ის გარემოება, რის საფუძველზეც შეუჩერდა პროფესიულ სტუდენტს სტატუსი (სამუშაოს დაწყება) არ არის მოცემული შიდა მარეგულირებელ აქტში. ბრძანების გამოცემის მეორე საფუძვლად მითითებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-3 მუხლი. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების პირობებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტის მე-5 მუხლი არეგულირებს, ნაცვლად ბრძანებაში მითითებული მე-3 მუხლისა. ამასთან, შიდა მარეგულირებელ აქტში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებში არ არის

მოცემული პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება. აღნიშნულის გათვალისიწნებით, დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძვლები სასურველია შესაბამისობაში იყოს დაწესებულების შიდა მარეგულირებელ აქტებთან და დაზუსტდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების პროცედურები.

**სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-6 მუხლით** რეგულირდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პირობები. სასურველია დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტით განისაზღვროს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პროცედურები. კერძოდ: ვინ შეიძლება იყოს ინიციატორი (პროფესიული სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს პირად განცხადებას თუ დაწესებულების თანამშრომელი, რომელიც მოხსენებითი ბარათის საფუძველზე წარმოადგენს შუამდგომლობას და სხვა). ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებული სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტში ასევე არასწორად იყო მითითებული საფუძველი, კერძოდ **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის** მუხლები. აღნიშნულის თაობაზე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების იურისტს, რომელმაც აღნიშნა რომ აღნიშნული წარმოადგენდა ტექნიკურ უზუსტობას ***(დანართი №6)***.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე. მიუხედავად დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 21 მაისის №04-51 ბრძანების პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა ***(დანართი №7).***, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არ იყო განთავსებული არასრულწლოვანი პირის დაბადების მოწმობა. პირად საქმეში პროფესიული სტუდენტის პირადი დოკუმენტაციის (პირადობის მოწმობის ასლი, ატესტატი, ფოტო, განცხადება, ხელშეკრულება) გარდა, განთავსებული იყო ქალბატონის პირადობის მოწმობა, რომელიც განცხადებაში მოხსენიებული იყო როგორც დედა, თუმცა დაბადების მოწმობის ასლის არარსებობის გამო, მისი იდენტობა ვერ დადგინდა.

დაწესებულება აწარმოებს „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემას (**evet.emis.ge**)“.

**სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-7 მუხლით** რეგულირდება პროფესიული სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებული დებულებები. დაწესებულებას არ განუხორციელებია პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა მობილობის წესით.

**სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლით** არეგულირებს მიღებული განათლების აღიარების პირობებს. დაწესებულებას არ განუხორციელებია მიღებული განათლების აღიარება. ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების სტატუსის აღდგენის ფაქტი არ დამდგარა. ამასთან, კოლეჯი ჩართულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებულ

პილოტირებაში ფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებით.

**სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-4 თავი** არეგულირებს არაფორმალური განათლების აღიარების წესს, აღიარების კომისიის საქმიანობასა და გადაწყვეტილებას. თუმცა, დაწესებულების მიერ შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრული პროცედურები არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის №188/ნ ბრძანების მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმდა დაწესებულებაში პირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცულობა. დაწესებულებაში არ არის დარეგულირებული პროფესიულ სტუდენტთა და თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ დაწყებული აქვთ მუშაობა დოკუმენტებზე, რომლებიც დაარეგულირებს პირის პერსონალური მონაცემების დაცვის პროცედურებს.

*ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:*

***1. რეკომენდებულია დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძვლები შესაბამისობაში იყოს დაწესებულების შიდა მარეგულირებელ აქტებთან და დაზუსტდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები;***
***2. რეკომენდებულია დაწესებულებამ არაფორმალური განათლების აღიარების წესი და პროცედურები მოიყვანოს შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის №188/ნ ბრძანების მოთხოვნებთან;***
***3. რეკომენდებულია დაწესებულებამ კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშაოს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;***
***4. რეკომენდებულია დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები მოიყვანოს შესაბამისობაში შიდა მარეგულირებელი აქტის მოთხოვნებთან, კერძოდ პირად საქმეებში განათავსოს დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი და დაამუშაოს საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად.***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანდებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 24 სექტემბრის №044/კ ბრძანება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე;
3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 01 აპრილის №13/კ ბრძანება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------

4. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 21 მაისის №04-51 ბრძანება 2019 წლის საგაზაფხულო პროფესიული ტესტირების გზით სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურზე აპლიკანტთა ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და წარმოდგენის ვადების განსაზღვის შესახებ;
5. აქტიური, სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
6. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემა (**evet.emis.ge**)

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებულია „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა’’. შიდა მარეგულირებელი აქტის მე-5 მუხლი არეგულირებს მოდულურ პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურებს, რომლის მიხედვითაც: მოდულურ პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, დაწესებულების პარტნიორ ორგანიზაციას. მოდულურ პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობითი სახით. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიცემა ახალი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს დაწესებულების დირექტორი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

„ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურის'' მე-6 მუხლში მოცემულია დებულებები მოდულური პროგრამის გაუქმების პირობებთან დაკავშირებით. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება ჩარჩო დოკუმენტის გაუქმების შესახებ;

ბ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა.

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე კოლეჯი უზრუნველყოფს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მემორანდუმის წინმსწრებად გაფორმებას და პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების შეთანხმებას და/ან მონათესავე პროგრამაზე გადაყვანას, რის შესახებაც სათანადო ინფორმაციას წარუდგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს უნდა მიეცეთ მიმდინარე საფეხურის დასრულების შესაძლებლობა მილევად რეჟიმში, მიმდინარე საფეხურის დასრულებამდე. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ დაწესებულების დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და წერილობით აცნობებს სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის თხოვნით.

დაწესებულების მიდგომების გადამოწმების მიზნით, განხორციელდა ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენელთან, რომელმაც წარმოადგინა ხარისხის მართვის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების სამსახურეობრივი ბარათები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ცვლილებები შეეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო რესურსების დამატებას, სასწავლო გეგმების კორექტირებასა და პარტნიორ დაწესებულებათა დამატებას. დაწესებულება იცავს შიდა მარეგულირებელი აქტების მოთხოვნებს.

**ბუღალტრული აღრიცხვის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან

გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას:

- 2019 წლის 26 ივლისს გაფორმებულია აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან;
- 2019 წლის 31 ივლისს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან.

**ინფორმაციის ტექნოლოგიის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას 2019 წლის 26 ივლისს გაფორმებულია აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან

**მეხილეობის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას 2019 წლის 26 ივლისს გაფორმებულია აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ კოლეჯ „აისთან“.

**რძის პროდუქტების წარმოების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას 2019 წლის 31 ივლისს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2018 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა'';
2. დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დოკუმენტები (მოხსენებით ბარათები, დაწესებულების დირექტორის ბრძანებები პროფესიულ საგანმანათლებლ ოპროგრამებში ცვლილებების შეტანის თაობაზე);
3. **გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან** 2019 წლის 26 ივლისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
4. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან 2019 წლის 31 ივლისს

გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

5. სსიპ კოლეჯ „აისთან “2019 წლის 26 ივლისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი არის ხარისხის მართვის მენეჯერი. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 11 მარტის №04-26 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები,“ რომელიც მოიცავს: სასწავლო პროცესის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემას (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გააუმჯობესე), ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციებს, შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობის პრინციპებსა და სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად გამოსაყენებელი კითხვარების ნუსხას. დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა“, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესის შეფასების მიზნებს, ამოცანებსა და იმ ელექტრონული კითხვარების სახეებს, რომელსაც ხარისხის მართვის მენეჯერი იყენებს მუშაობის პროცესში. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილია შიდა მარდაჭერის ჯგუფი, რომლის ამოცანებია: ჩარჩო დოკუმენტებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა შეფასება, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა, მატერიალური რესურსების საკმარისობა და ადეკვატურობა, მასწავლებელთა კომპეტენტურობის შეფასება, გარე ფაქტორების ზეგავლენის მართვა. შიდა მხარდაჭერის ჯგუფისა და ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციებს დაწესებულება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

*ქ. თბილისი, 2019*

ითვალისწინებს, კერძოდ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შევიდა ცვლილებები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმასა და მოდულების მესამე ნაწილში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ხარისხის მართვის მენეჯერის 2018 წლის და მიმდინარე წლის კვარტალური ანგარიშები. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მომზადებულია რეკომენდაციები სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მოქნილობისა და გაუმჯობესების მიმართულებით, რომელთა უმეტესობა გათვალისწინებულია დაწესებულების დირექტორის მიერ. კერძოდ, დამტკიცებულია სახარჯი მასალების მიწოდებისა და ხარჯვის მარეგულირებელი აქტი, შემუშავებული და დამტკიცებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვის მიზნით მასწავლებელთა კალენდარული გეგმების შემუშავებისა და შეთანხმების პროცედურა, დაწესებულების დირექტორის მიერ პარტნიორ დაწესებულებებთან 2019 წელს გაფორმებულ ცალკეულ მემორანდუმში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა სტაჟირებები და სხვა.

თუმცა, დაწესებულებაში ხარისხის მართვის მენეჯერის საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგით და არ ფარავს დაწესებულების სხვა პროცესებს.

*ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:*

*1. რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი მექანიზმები, რომელიც სრულად შეაფასებს დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესს;*

*2. რეკომენდებულია ხარისხის მართვის მენეჯერმა შეიმუშაოს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმა/სტრატეგია, გეგმის მიხედვით განახორციელოს ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფის მიზნებისათვის შეფასება/მონიტორინგი და გასცეს რეკომენდაციები პროცესების სრულყოფისათვის;*

*3. რეკომენდებულია პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია განხორციელდეს ხარისხის მართვის მენეჯერის ან ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, რომელსაც უხელმძღვანელებს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო შეფასების ინსტრუმენტები და კალენდარული გეგმები ნაცვლად ხარისხის მართვის მენეჯერისა, შეითანხმოს სხვა სამსახურმა/ჯგუფმა, მათ შორის შესაძლებელია აღნიშნული განახორციელოს სასწავლო პროცესის მენეჯერმა დარგის სხვა მასწავლებლების ჩართულობით. ვინაიდან, ხარისხის მართვის მენეჯერს ექნება ინტერესთა კონფლიქტი იმ პროცესის შეფასებასთან, რომელიც იქნება მასთან შეთანხმებული (შეფასების ინსტრუმენტები, კალენდარული გეგმები და სხვა).*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------

*ქ. თბილისი, 2019*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 11 მარტის №04-26 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“;
2. დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა“;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი წლიური და კვარტალური ანგარიშები;
4. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მტკიცებულებები (მემორანდუმები, დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი აქტები - სახარჯი მასალების მიწოდებისა და ხარჯვის მარეგულირებელი აქტი, თემატური კალენდარული გეგმის შემუშავების წესი);
5. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნისა და შემადგენლობაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე დაწესებულების დირექტორის ბრძანებები;
6. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობის დოკუმენტები (გეგმები, ოქმები და სხვა).

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

*ქ. თბილისი, 2019*

## 2. მატერიალური რესურსი

**2.1** დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი'' ფლობს ძირითად და დამატებით ორ სასწავლო ფართს, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. გარდა ამისა, კოლეჯი დუშეთის მუნიციპალიტეტში სარგებლობის უფლებით ფლობს ფართს/შენობა-ნაგებობებს [redacted], რომელიც დღეის მდგომარეობით უფუნქციოა, ვინაიდან ექვემდებარება რეაბილიტაციას.

ძირითადი სასწავლო ფართი მდებარეობს:

- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წინამძღვრიანთკარში, [redacted] დაზუსტებული ფართობით: 196 172.00 კვ.მ (შენობა -ნაგებობების ჩამონათვალი: შენობა ნაგებობა N1-დან N27-ის ჩათვლით. შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართით - 4062.76 კვ.მ (მ.შ. სარდაფი-736.3 კვ.მ I სართული -1050.36 კვ.მ, II სართული -1199.8 კვ.მ, III სართული -1076.3 კვ.მ).
- დაბა თიანეთის [redacted] მის: დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. N21) დამატებით სასწავლო ფართში, დაზუსტებული ფართობია: 2636.00 კვ.მ, შენობა ნაგებობების ჩამონათვალი: N1 სართო ფართით: 1642.56 კვ.მ.
- ყაზბეგის რაიონი, დაბა სტეფანწმინდის [redacted] დაზუსტებული ფართობია: 14826.00 კვ.მ , შენობა -ნაგებობების ჩამონათვალია: შენობა - ნაგებობა N1 –I სართულის საერთო ფართი 811.00 კვ.მ (მათ შორის ფართობი - 563.37 კვ.მ და 248.33 კვ.მ), II სართულის საერთო ფართი 807.62 (მათ შორის 694.26 კვ.მ და 113.36 კვ.მ ) კვ.მ, III სართულის საერთო ფართი 812.6 კვ.მ სარდაფის ფართი 250.90 კვ.მ . ასევე ნაგებობები N2 და N3.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | **მისამართი** | **კვ.მ.** |
|---|---|---|
| 1 | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ წინამძღვრიანთკარი, (ს/კ: 72.04.04.321) | 196 172.00 კვ.მ |
| 2 | დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. N21, (ს/კ:73.05.35.072) | 2636.00 კვ.მ |
| 3 | ყაზბეგის რაიონი, დაბა სტეფანწმინდა (ს/კ:74.01.13.429) | 14826.00 კვ.მ |
| 4 | ქ. დუშეთი, სტალინის ქ. №80 | 2269 კვ.მ |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზები;
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან [redacted]

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას გააჩნია თითოეული დასამატებელი პროგრამისთვის საჭირო ყველა ტიპის სასწავლო გარემო, თუმცა არ არის შეძენილი: ამწოვი კარადა -1; ავტოკლავი - 1, რის თაობაზეც დაწესებულების მიერ გამოცხადებულია ტენდერი და მიმდინარეობს შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურები ***(დანართი №8 - სატენდერო დოკუმენტაცია)***

სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართის დეტალური აღწერა მოცემულია სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობის ცხრილში.

***ხარვეზი: რძის პროდუქტების წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობა არ არის სრულად წარმოდგენილი.***
***(დანართი №8 - სატენდერო დოკუმენტაცია)***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

*ქ. თბილისი, 2019*

*დანართი №2*

## სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობა

| № | საგანმანათლებლო პროგრამა | პროგრამის ხანგრძლივობა/წელი | პროგრამის მოცულობა | | სასწავლო გარემო | | სასწავლო გარემოს შესაბამისი აღჭურვილობა (მაგადა, სკამი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა) | ქვოტა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | კრედიტი | საათი | მოდელი A, B, C | აუდიტორიის № | | |
| მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში (ძირითადი სასწავლო კორპუსი) | | | | | | | | |
| 1 | ბუღალტრული აღრიცხვა | ქართულენოვანი - 65 სასწ. კვირა;<br><br>არაქართულენოვანი - 86 სასწ. კვირა | ქართულენოვანი - 99 კრედიტი;<br><br>არა ქართულენოვანი -129 კრედიტი | ქართულენოვანი - 2475 საათი;<br>არა ქართულენოვანი - 3225 საათი | A | 304 | სტუდენტის სკამი/მაგიდა - 15; მასწავლებლის მაგიდა სკამით - 1; პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1; დაფა - 1; კომპიუტერი მასწავლებლისთვის - 1; | 30 |
| | | | | | B | 208 | სტუდენტის სკამი/მაგიდა - 15; მასწავლებლის მაგიდა სკამით - 1; პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1; დაფა - 1; კომპიუტერი მასწავლებლისთვის - 1; კომპიუტერი - 15; პრინტერი (კომბაინი) – 1; აუდიო აღჭურვილობა - 1; ფლეშ-მეხსიერება - 1. | |
| 2 | ინფორმაციის ტექნოლოგია | ქართულენოვანი - 43 სასწ. კვირა; | ქართულენოვანი - 60 კრედიტი; | ქართულენოვანი - 1500 საათი; | A | 303 | სტუდენტის სკამი/მაგიდა - 15; მასწავლებლის მაგიდა სკამით - 1; პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1; დაფა - 1; კომპიუტერი - 1; | 30 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

*ქ. თბილის, 2019*

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | არაქართულენოვანი - 53 სასწ. კვირა | არაქართულენოვანი - 75 კრედიტი | არა ქართულენოვანი - 1875საათი | B | 210 | სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა/სკამი) – 15; პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) – 1; პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1; კომპიუტერი მასწავლებლისთვის - 1; კომპიუტერი - 15; პრინტერი (კომბაინი) – 1; დაფა - 1; ბრტყელი ფორმის სახრახნისი სხვადასხვა ზომის (Flathead screwdriver ) – 5; დამცავი სათვალე - 3; დენის ფილტრი (surge protector) – 1; ელექტრო სადენის საფრცქვნელი ინსტრუმენტი - 1; ექვსკუთხა ქანჩი სხვადასხვა ზომის (Hex Socket Drivers) – 5; ინსტრუმენტების ნაკრები კომპიუტერული ქსელისთვის (ქსელის ტესტერი, ქსელური კაბელის კონექტორის მომჭერი, ქსელის სადენის ჩამჭერი) – 1; კომპიუტერი (დაშლა-აწყობისთვის) – 1; კომპიუტერის გამწმენდი საშუალებების ნაკრები (ეკრანის გამწმენდი, შეკუმშული აირი, ფუნჯი) – 3; მკვნეტარა - 1; სახრახნისის ნაკრები (ფიგურული, ბრტყელი)არანაკლებ 3 სხვადასხვა ზომის) – 1; ფანარი -2; არახაოიანი საწმენდი ჩვრების კომპლექტი - 3; მულტიმეტრი - 1; უწყვეტი კვების წყარო (UPS) – 1; გრაფიკული ინტერფეისის მქონე მულტიფუნქციური უსადენო ქსელის მარშრუტიზატორი/როუტერი (მინიმუმ ერთი WAN ინტერფეისი, ოთხი LANინტერფეისი, 802.11 b/g/n, WPA 2 -ის მხარდაჭერა.) – 2; ფლეშ-მეხსიერება - 1; კომუტატორი (არანაკლებ 8 პორტით) – 1; ოპერაციული სისტემის საინსტალაციო პაკეტი - 3; USB ტიპის ინტერფეისის მქონე უსადენო ქსელის ადაპტერი - 3; | |
| 3 | მეხილეობა | ქართულენოვანი - 72 სასწ. კვირა; | ქართულენოვანი - 90 კრედიტი; | ქართულენოვანი - 2250 საათი; | A | 107 | სტუდენტის სკამი/მაგიდა - 15; მასწავლებლის მაგიდა სკამით - 1; პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1; დაფა - 1; კომპიუტერი მასწავლებლისთვის - 1 | 30 |
| | | არაქართულენოვანი - 93 სასწ. კვირა | არაქართულენოვანი - 120 | არა ქართულენოვანი - 3000 საათი | B | 208 | სტუდენტის სკამი/მაგიდა - 15; მასწავლებლის მაგიდა სკამით - 1; პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1; დაფა - 1; კომპიუტერი მასწავლებლისთვის - 1; კომპიუტერი - 15; პრინტერი (კომბაინი) – 1; | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | კრედიტი | | C | დაწესებულების შიდა ეზო; დაწესებულების სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები; დაწესებულების დამატებითი შენობა-ნაგებობა | ცელი - 3; ყუთები - 3; ფრეზი (ტრაქტორზე მისაბმელი) – 1; გუთანი (ტრაქტორზე მისაბმელი) – 1; უხეში საკვების შესანახი მასალა, პოლიეთილენი, რულონი - 1; ურო - 3; ტრაქტორი - 1; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 1; სასოფლო-სამერუნეო მიწის ნაკვეთი - 0.1; სალესი - 2; სათლი - 5; კვირტით სამყნობი დანა - 5; თერმოჰიგრომეტრი - 1; ზურგის აპარატი - 1; დანადგარი ნამყენის პარაფინირებისთვის - 1; ბუნებრივი სათიბ-საძოვარი, - მინ 5ჰა; ბრტყელტუჩა - 5; ბაღის ხერხი - 2; ბაღის სეკატორი - 5; ურიკა - 3; კიბე (2-3მ) – 1; თოხი - 5; დანა - 15; სრული დამცავი აღჭურვილობა (სამუშაო ხალათი) – 15; ტენმზომი - 1; პალეტები - 1; ნიჩაბი-ბარი - 8; ორმოს გამჭრელი ავტომატური ხელის ბურღი - 1; კალმით სამყნობი დანა - 5; საჭრელი დაფა - 15; პნევმატური ამკრეფი - 1; მოტობლოკი - 1; შესაწამლი აგრეგატი - 1; რეფრაქტომეტრი - 1; დასაკალიბრებელი რგოლი - 1; დაფა (მაგიდა) ხილის დასახარისხებლად - 1; ძარა - 1. | |
| 4 | რძის პროდუქტების წარმოება | ქართულენოვანი - 96 სასწ. კვირა;<br><br>არაქართულენოვანი - 117 სასწ. კვირა | ქართულენოვანი - 85 კრედიტი;<br><br>არაქართულენოვანი - 115 კრედიტი | ქართულენოვანი - 2125 საათი;<br><br>არა ქართულენოვანი - 2875 საათი | A | 305 | სტუდენტის სკამი/მაგიდა - 15; მასწავლებლის მაგიდა სკამით - 1; პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1; დაფა - 1; კომპიუტერი მასწავლებლისთვის - 1 | 15 |
| | | | | | B | 208 | სტუდენტის სკამი/მაგიდა - 15; მასწავლებლის მაგიდა სკამით - 1; პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1; დაფა - 1; კომპიუტერი მასწავლებლისთვის - 1; კომპიუტერი სტუდენტისათვის - 15; კომბაინი (ქსელური პრინტერი სკანერისა და ასლგადამღების ფუნქციით) – 1. | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------

*ქ. თბილის, 2019*

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | C | 211 | სტუდენტის პრაქტიკული სამუშაო ადგილი (მაგიდა/სკამი) – 15; მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა /სკამი) – 1; სამუშაო ხალათი - 15; დამცავი სათვალე - 15; სინჯარა (20-25 მლ-იანი) – 25; მინის პიპეტი - 5; პიპეტის დოზატორი - 5; პასტერის პიპეტი - 5; უნივერსალური ინდიკატორი - 1; ძაბრი - 2; ქიმიური ჭიქა - 2; არეომეტრების ნაკრები - 1; დიდი ზომის სინჯარა (50 მლ-იანი) გაზგამტარით - 45; ფაიფურის ჯამი - 2; ელექტრო სასწორი - 1; დანაყოფებიანი ჯოხი - 1; დანაყოფებიანი ლენტა - 1; თბილი წყლის აბაზანა - 1; მინის ცილინდრი - 2; რძის ცხიმსაზომი - 1; ტიგელი - 1; წკირი - 4; საწვეთური - 1; შპადელი - 2; სინჯარის შტატივი - 2; კონუსური კოლბა (200 მლ-იანი) – 2; სპირტქურა - 2; ცხოველები - 3; რძის ანალიზატორი - 1; საზომი კოლბა - 1; მეტალის ლაბორატორიული შტატივი სინჯარისა და ბიურეტის დამჭერებით - 1; მენზურა - 2; pH-მეტრი - 1; რეზინის ხელთათმანები - 15; ცხოველის ნომრები - 5<br><br>***არ არის შეძენილი: ამწოვი კარადა -1; ავტოკლავი - 1. იხ. სატენდერო დოკუმენტაცია*** | |
| დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა N21 (დამატებითი სასწავლო კორპუსი) | | | | | | | | |
| 1 | ბუღალტრული აღრიცხვა | ქართულენოვანი - 65 სასწ. კვირა;<br><br>არაქართულენოვანი - 86 სასწ. კვირა | ქართულენოვანი - 99 კრედიტი;<br><br>არა ქართულენოვანი -129 კრედიტი | ქართულენოვანი - 2475 საათი;<br><br>არა ქართულენოვანი - 3225 საათი | A | 111 | სტუდენტის სკამი/მაგიდა - 10; მასწავლებლის მაგიდა სკამით - 1; პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1; დაფა - 1; კომპიუტერი მასწავლებლისთვის - 1; | 20 |
| | | | | | B | 112 | სტუდენტის სკამი/მაგიდა - 10; მასწავლებლის მაგიდა სკამით - 1; პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1; დაფა - 1; კომპიუტერი მასწავლებლისთვის - 1; კომპიუტერი - 10; პრინტერი (კომბაინი) – 1; აუდიო აღჭურვილობა - 1; ფლეშ-მეხსიერება - 1. | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | ინფორმაციის ტექნოლოგია | ქართულენოვ ანი - 43 სასწ. კვირა;<br><br>არაქართულე ნოვანი - 53 სასწ. კვირა | ქართულენ ოვანი - 60 კრედიტი;<br><br>არაქართუ ლენოვანი - 75 კრედიტი | ქართულენოვა ნი - 1500 საათი;<br><br>არა ქართულენოვა ნი - 1875საათი | AB | 206 | სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა/სკამი) – 10; პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) – 1; პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1; კომპიუტერი მასწავლებლისთვის - 1; კომპიუტერი - 10; პრინტერი (კომბაინი) – 1; დაფა - 1; ბრტყელი ფორმის სახრახნისი სხვადასხვა ზომის (Flathead screwdriver) – 5; დამცავი სათვალე - 3; დენის ფილტრი (surge protector) – 1; ელექტრო სადენის საფრცქვნელი ინსტრუმენტი - 1; ექვსკუთხა ქანჩი სხვადასხვა ზომის (Hex Socket Drivers) – 5; ინსტრუმენტების ნაკრები კომპიუტერული ქსელისთვის (ქსელის ტესტერი, ქსელური კაბელის კონექტორის მომჭერი, ქსელის სადენის ჩამჭერი) – 2; კომპიუტერი (დაშლა-აწყობისთვის) – 1; კომპიუტერის გამწმენდი საშუალებების ნაკრები (ეკრანის გამწმენდი, შეკუმშული აირი, ფუნჯი) – 3; მკვნეტარა - 1; სახრახნისის ნაკრები (ფიგურული, ბრტყელი)არანაკლებ 3 სხვადასხვა ზომის) – 1; ფანარი -2; არახაოიანი საწმენდი ჩვრების კომპლექტი - 3; მულტიმეტრი - 1; უწყვეტი კვების წყარო (UPS) – 1; გრაფიკული ინტერფეისის მქონე მულტიფუნქციური უსადენო ქსელის მარშრუტიზატორი/როუტერი (მინიმუმ ერთი WAN ინტერფეისი, ოთხი LANინტერფეისი, 802.11 b/g/n, WPA 2 -ის მხარდაჭერა.) – 2; ფლეშ-მეხსიერება - 1; კომუტატორი (არანაკლებ 8 პორტით) – 1; ოპერაციული სისტემის საინსტალაციო პაკეტი - 3; USB ტიპის ინტერფეისის მქონე უსადენო ქსელის ადაპტერი - 3. | 20 |
| 3 | მეხილეო<br>ბა | ქართულენოვ ანი - 96 სასწ. კვირა;<br><br>არაქართულე | ქართულენ ოვანი - 90 კრედიტი;<br><br>არაქართუ | ქართულენოვა ნი - 2250 საათი;<br><br>არა | A | 207 | სტუდენტის სკამი/მაგიდა - 10; მასწავლებლის მაგიდა სკამით - 1; პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1; დაფა - 1; კომპიუტერი მასწავლებლისთვის - 1 | 10 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

*ქ. თბილის, 2019*

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნოვანი - 117 სასწ. კვირა | ლენოვანი - 120 კრედიტი | ქართულენოვანი - 3000 საათი | B | 112 | სტუდენტის სკამი/მაგიდა - 10; მასწავლებლის მაგიდა სკამით - 1; პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1; დაფა - 1; კომპიუტერი მასწავლებლისთვის - 1; კომპიუტერი - 10; პრინტერი (კომბაინი) – 1; | |
| 4 | რძის პროდუქტების წარმოება | ქართულენოვანი - 96 სასწ. კვირა;<br><br>არაქართულენოვანი - 117 სასწ. კვირა | ქართულენოვანი - 85 კრედიტი;<br><br>არაქართულენოვანი - 115 კრედიტი | ქართულენოვანი - 2125 საათი;<br><br>არა ქართულენოვანი - 2875 საათი | AC | 103 | სტუდენტის სკამი/მაგიდა - 10; მასწავლებლის მაგიდა სკამით - 1; პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1; დაფა - 1; კომპიუტერი მასწავლებლისთვის - 1. სამუშაო ხალათი - 10; დამცავი სათვალე - 10; სინჯარა (20-25 მლ-იანი) – 25; მინის პიპეტი - 5; პიპეტის დოზატორი - 5; პასტერის პიპეტი - 5; უნივერსალური ინდიკატორი - 1; ძაბრი - 2; ქიმიური ჭიქა - 2; არეომეტრების ნაკრები - 1; დიდი ზომის სინჯარა (50 მლ-იანი) გაზგამტარით - 30; ფაიფურის ჯამი - 2; ელექტრო სასწორი - 1; დანაყოფებიანი ჯოხი - 1; დანაყოფებიანი ლენტა - 1; თბილი წყლის აბაზანა - 1; მინის ცილინდრი - 2; რძის ცხიმსაზომი - 1; ტიგელი - 1; წკირი - 4; საწვეთური - 1; შპადელი - 2; სინჯარის შტატივი - 2; კონუსური კოლბა (200 მლ-იანი) – 2; სპირტქურა - 2; ცხოველები - 3; რძის ანალიზატორი - 1; საზომი კოლბა - 1; მეტალის ლაბორატორიული შტატივი სინჯარისა და ბიურეტის დამჭერებით - 1; მენზურა - 2; pH-მეტრი - 1; რეზინის ხელთათმანები - 10; ცხოველის ნომრები - 5;<br><br>***არ არის შეძენილი: ამწოვი კარადა -1; ავტოკლავი - 1, იხ. სატენდერო დოკუმენტაცია*** | 10 |
| | | | | | B | 211 | სტუდენტის სკამი/მაგიდა - 10; მასწავლებლის მაგიდა სკამით - 1; პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1; დაფა - 1; კომპიუტერი მასწავლებლისთვის - 1; კომპიუტერი სტუდენტისათვის - 10; პრინტერი კომბაინი (ქსელური პრინტერი სკანერისა და ასლგადამღების ფუნქციით) – 1. | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

*ქ. თბილის, 2019*

*დანართი №2*

| დაბა სტეფანწმინდა (დამატებითი სასწავლო კორპუსი) | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბუღალტრული აღრიცხვა | ქართულენოვანი - 65 სასწ. კვირა;<br><br>არაქართულენოვანი - 86 სასწ. კვირა | ქართულენოვანი - 99 კრედიტი;<br><br>არა ქართულენოვანი -129 კრედიტი | ქართულენოვანი - 2475 საათი;<br><br>არა ქართულენოვანი - 3225 საათი | A | 203 | სტუდენტის სკამი/მაგიდა - 10; მასწავლებლის მაგიდა სკამით - 1; პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1; დაფა - 1; კომპიუტერი მასწავლებლისთვის - 1; | 20 |
| | | | | | B | 201 | სტუდენტის სკამი/მაგიდა - 10; მასწავლებლის მაგიდა სკამით - 1; პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1; დაფა - 1; კომპიუტერი მასწავლებლისთვის - 1; კომპიუტერი - 10; პრინტერი (კომბაინი) – 1; აუდიო აღჭურვილობა - 1; ფლეშ-მეხსიერება - 1. | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

*ქ. თბილის, 2019*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები);
2. საგანმანათლებლო პროგრამის - „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი;
3. საგანმანათლებლო პროგრამის - „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი;
4. საგანმანათლებლო პროგრამის - „მეხილეობა“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი;
5. საგანმანათლებლო პროგრამის - „რძის პროდუქტების წარმოება“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი;
6. სატენდერო დოკუმენტაცია;
7. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა აუდიტორია და ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. კოლეჯი არის ენერგო პრო ჯორჯიას აბონენტი №41104553540 (სოფ. წინამძღვიანკარის ბაზა), №4410123112 (დაბა თიანეთის ბაზა), №8110253970 (სტეფანწმინდის ბაზა) და იხდის ყოველთვიურ გადასახადს. დაწესებულების ძირითადი კორპუსი უზრუნველყოფილია ელექტრო ენერგიის ალტერნატიული წყაროთი (გენერატორი).

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია უწყვეტი წყალმომარაგება. დაწესებულების სამივე ობიექტი არის საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის აბონენტი №3565801 (სოფ. წინამძღვიანკარის ბაზა), № 3559435 (დაბა თიანეთის ბაზა), №3565801 (სტეფანწმინდის

ბაზა) და იხდის ყოველთვიურ გადასახადს. დაწესებულების სამივე ბაზაზე არსებული სველი წერტილები გამიჯნულია ქალებისა და მამაკაცებისათვის. კოლეჯის სამივე ბაზაზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

კოლეჯი არის შპს „სოკარ ჯორჯიას" აბონენტი № 002113823870 და იხდის ყოველთვიურ გადასახადს. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები;
2. ქსელზე მიერთების აქტები;
3. გენერატორის ფლობის დოკუმენტები;
4. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების მიერ დასამატებელი ოთხივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი სამივე ობიექტზე (სოფ. წინამძღვიანკარის, თინეთისა და სტეფანწმინდის ბაზები) სრულადაა წარმოდგენილი დაწესებულების ბიბლიოთეკებში. საგანმანათლებლო რესურსის უმეტესი ნაწილი ელექტრონულ ფორმატშია, რომლებიც ჩატვირთულია სამკითხველო დარბაზში განთავსებულ კომპიუტერებში, ჩაწერილია CD დისკებზე და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია ბეჭდურ კატალოგში. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში გაწევრიანებული დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------

*დანართი №2*

ქ. მცხეთის ბაზაზე არსებულ ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 15 სამაგიდე კომპიუტერი და საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი). ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია კომბაინით (პრინტერი/ასლგადამღების/სკანერი) სარგებლობა;

დაბა თიანეთის ბაზაზე არსებულ ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 სამაგიდე კომპიუტერი და საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი);

სტეფანწმინდის ბაზაზე არსებულ ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 სამაგიდე კომპიუტერი და საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი);

დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი", რომელიც ბიბლიოთეკაში (სამივე ბაზაზე) გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. წესში გაწერილია შემდეგი პუნქტები: ბიბლიოთეკის სამუშაო დღეები და საათები, ბიბლიოთეკაში გაწევრიანება, ბიბლიოთეკის უფლება - მოვალეობები, მკითხველის უფლება - მოვალეობები, საბიბლიოთეკო ერთეულის გატანა.

დაწესებულების სამივე ბაზაზე საბიბლიოთეკო საქმეს წარმართავს კვალიფიციური თითო პირი (სულ 3) - ბიბლიოთეკარი, რომელთაც გავლილი აქვთ ტრენინგი საბიბლიოთეკო საქმიანობის მიმართულებით.

დაწესებულება ჩართულია საბიბლიოთეკო ქსელში - Open biblio და იყენებს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გათავსებული აქტების კოდიფიცირებულ ვერსიებს.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი";
2. საგანმანათლებლო პროგრამა - „რძის პროდუქტების წარმოება";
3. საგანმანათლებლო პროგრამა - „მეხილეობა";
4. საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა";
5. საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგია";
6. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
7. წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
8. CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოები;
9. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
10. საბიბლიოთეკო საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირების პირადი საქმეები;
11. საბიბლიოთეკო ქსელი - Open biblio-ს სარგებლობის თაობაზე მომსახურების საფასურის გადახდის ქვითრები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------

*ქ. თბილისი, 2019*

12. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს სარგებლობის თაობაზე მომსახურების საფასურის გადახდის ქვითრები;
13. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულების საკუთრებაში არსებული ციფრული ტექნიკა ასე გამოიყურება:

| ადმინისტრაციული ერთეული | | კომპიუტერი | | პრინტერი | პროექტორი |
|---|---|---|---|---|---|
| | | პერსონალური კომპიუტერი | ნოუთბუქი | | |
| **წინამძღვრიანთკარი** | ადმინისტრაციისთვის | 16 | 3 | 7 | 0 |
| | სასწავლო მიზნისთვის | 40 | 30 | 4 | 20 |
| **თიანეთი** | ადმინისტრაციისთვის | 2 | 0 | 1 | 0 |
| | სასწავლო მიზნისთვის | 34 | 0 | 2 | 8 |
| **სტეფანწმინდა** | ადმინისტრაციისთვის | 3 | 0 | 1 | 0 |
| | სასწავლო მიზნისთვის | 15 | 0 | 2 | 5 |
| **ჯამი** | ადმინისტრაციისთვის | **21** | **3** | **9** | **0** |
| | სასწავლო მიზნისთვის | **89** | **30** | **8** | **33** |
| **სულ ჯამი** | | **110** | **33** | **17** | **33** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

*ქ. თბილისი, 2019*

კოლეჯი არის შპს „მაგთიკომის“ აბონენტი, რომელიც დაწესებულებას უზრუნველყოფს უწყვეტი სადენიანი და უსადენო ინტერნეტ კავშირით. უსადენო წვდომის წერტილი დამონტაჟებულია ყველა სართულზე და ხელმისაწვდომია, როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის.

დაწესებულების მართვის პროცესში გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა- tmkcommunitycollege@tmk.edu.ge და ვებგვერდი - www.tmk.edu.ge. კოლეჯი ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში.

ვებგვერდი დომენური სახელით - „www.tmk.edu.ge” წარმოადგენს საინფორმაციო და საკომუნიკაციო წყაროს დაინტერესებული პირებისათვის, რისთვისაც 2019 წლის 9 იანვარს გაფორმებულია NAT180020062 ხელშეკრულება „დომენური სახელისა და ჰოსტინგის“ მომსახურების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
2. ვებგვერდი www.orientiri.ge;
3. tmkcommunitycollege@tmk.edu.ge
4. შპს „მაგთიკომთან“ 2019 წლის 9 იანვარს გაფორმებული NAT80019500 ხელშეკრულება;
5. 2019 წლის 9 იანვარს გაფორმებული NAT180020062 ხელშეკრულება „დომენური სახელისა და ჰოსტინგის“ მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე;
6. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში საქმისწარმოება ცენტრალიზებულია და რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 20 იანვრის N 02-11 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესით.“ დაწესებულებაში საქმისწარმოების განხორციელებაზე ხელმძღვანელობასა და კონტროლს ეწევა საქმისმწარმოებელი. კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული

საქმისწარმოების სისტემა Eflow-ს მეშვეობით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ფაქტობრივი მდგომარეობა. დაწესებულებაში არასაკმარისი სიზუსტით ხორციელდება გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა შიდა მარეგულირებელი წესის მიხედვით. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის განცხადებების რეგისტრაციის არსებობა (სულ 3 განცხადება) ***(დანართი №9)***. თუმცა აღმოჩნდა, რომ განცხადებები არ იყო რეგისტრირებული საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში. ვინაიდან განცხადება არის შემოსული კორესპონდენცია და დაწესებულებაში არასრულფასოვნად მიმდინარეობს მათი რეგისტრაცია, ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული გარემოება მიჩნეულ იქნა ხარვეზად.

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანებებისა და ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალები, რომლებიც დამუშავებულია საქმისწარმოების წესის მიხედვით. თუმცა, დაწესებულების მიერ დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების უმრავლესობა რეგისტრირებული არ არის, ამასთან, სარეგისტრაციო ჟურნალში დარღვეულია ჩანაწერთა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა (მაგალითად, ჩანაწერი №9, რეგისტრაციის თარიღია 02.03.2019, ჩანაწერი №10, რეგისტრაციის თარიღია 28.02.2019; ჩანაწერი №18, რეგისტრაციის თარიღია 11.03.2019; ჩანაწერი №19, რეგისტრაციის თარიღია 28.12.2018; ჩანაწერი №20, რეგისტრაციის თარიღია 21.03.2019, ამასთან, არც ერთი მემორანდუმი და ხელშეკრულება დანორმილი არ არის) ***(დანართი №10)***.

***ხარვეზი:***

***დაწესებულებაში არასრულფასოვნად მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის რეგისტრაცია.***

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 20 იანვრის N 02-11 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი.“
2. საქმისწარმოების წესით დამუშავებული დოკუმენტები;
3. დოკუმენტების რეგისტრაციის ჟურნალები;
4. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე;
5. ინტერვიურების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;**

დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებულია **„უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“**, რომლის მესამე მუხლი არეგულირებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას. კერძოდ: კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრი, სახანძრო სტენდი), მისი გამოყენების ინსტრუქცია ახსნილია დაწესებულების სტუდენტებისა და პერსონალისათვის; აკრძალულია დაწესებულების შენობაში ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებების შეტანა; სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დადგენილი წესით დანიშნული პასუხისმგებელი პირი/ები, თანამშრომლები, პროფესიული მასწავლებლები და სტუდენტები შენობაში ხანძრის ან წვის ნიშნების (დაკვამლიანება, დამწვრის სუნის, ტემპერატურის აწევის და ა.შ.) აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებული არიან:
ა) დაუყოვნებლივ შეატყობინონ ხანძრის გაჩენის შესახებ დაცვას, აგრეთვე დაწესებულების ხელმძღვანელობასა და მორიგე სამსახურებს (სასწრაფო, პატრული და ა.შ.). ამასთან, აუცილებელია დაასახელოს ობიექტის მისამართი, ხანძრის გაჩენის ადგილი, შეატყობინოს თავისი გვარი, სახელი;
ბ) არსებული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ადამიანთა გადასარჩენად, ევაკუაციაში, მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენასა და ხანძრის ჩაქრობაში.

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შენობაში მყოფი ადმინისტრაციის წევრები ვალდებულია არიან:
ა) საჭიროების შემთხვევაში გამორთონ ელექტროენერგია (გარდა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის

სისტემებისა), შეაჩერონ გადასატანი მოწყობილობების, აგრეგატების, აპარატების მუშაობა, გადაკეტონ ნედლეულის, გაზისა და წყლის კომუნიკაციები, შეაჩერონ ავარიულ და მასთან მომიჯნავე სათავსებში სავენტილაციო სისტემების მუშაობა, შეასრულონ სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს შენობის სათავსებში ხანძრის გავრცელებისა და დაკვამლიანების თავიდან აცილებას;
ბ) შეწყვიტონ შენობაში ყველა სამუშაო გარდა სამუშაოებისა, რომლებიც დაკავშირებულია ხანძრის ლიკვიდაციასთან;
გ) გაიყვანონ საშიში ზონის ფარგლებს გარეთ ყველა მუშაკი, რომელიც არ მონაწილეობს ხანძრის ჩაქრობაში;
დ) სახანძრო დაცვის დანაყოფის მოსვლამდე განახორციელონ ხანძრის ჩაქრობის საერთო ხელმძღვანელობა;
ე) უზრუნველყონ ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეთა მიერ უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვა;
ვ) ხანძრის ჩაქრობასთან ერთად ორგანიზება გაუწიონ მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაციას და დაცვას;
ზ) ორგანიზება გაუწიონ სახანძრო დაცვის დანაყოფების შეხვედრას და მათთვის დახმარების აღმოჩენას ხანძრის კერასთან მისასვლელი უმოკლესი გზების შერჩევაში;
თ) სახანძრო დაცვის დანაყოფის მისვლისთანავე მიაწოდონ ინფორმაცია ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელს ობიექტის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური თავისებურებების, მომიჯნავე შენობებისა და ნაგებობების შესახებ, შენახული დ გამოსაყენებელი ნივთიერებების, მასალების, ნაწარმის რაოდენობასა და ხანძარსაშიშ თვისებებზე და ხანძრის წარმატებით ლიკვიდაციისთვის საჭირო სხვა მონაცემებზე, აგრეთვე გაუწიოს ორგანიზება ობიექტის ძალებისა და საშუალებების ჩაბმას ხანძრის ჩაქრობასთან დაკავშირებული აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებაში.

ევაკუაციის ნიშანის შემთხვევაში ადგილზე მყოფი დაწესებულების თანამშრომლები იკავებენ მდგომარეობას უახლოეს გასასვლელებთან და მეთვალყურეობენ ევაკუაციის მიმდინარეობას.

შენობის ყველა სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, რომლებიც ვარგისია ექსპლოატაციისათვის. დაცულია ცეცხლმაქრი საშუალებების გადამუხტვის ვადები.

**ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა**

დაწესებულების ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სათანადო უწყებასთან შეთანხმებული და დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები.

**გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;**

დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებულია **„უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის“** მე-4 მუხლი არეგულირებს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს, რომლის მიხედვით: 1. იმ

შემთხვევაში, თუ დაწესებულებას არ გააჩნია კომპეტენცია, სამედიცინო დახმარება გაუწიოს დაწესებულების სტუდენტებს/პერსონალს, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად, ოპერატიულად იქნება გამოძახებული სასწრაფო დახმარება.

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებია:

ა) სტუდენტებსა და დაწესებულების თანამშრომლებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მიმართონ დაწესებულების მედდას და მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია ან სამედიცინო დახმარება.

ბ) თუ სტუდენტი ან დაწესებულების თანამშრომელი ვერ ახერხებს დაწესებულების მედდასთან დამოუკიდებლად მისვლას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაწესებულების მედდას, დაცვის სამსახურს ან ადმინისტრაციას, რომლებიც ვალდებულნი არიან მიიყვანონ ეს პიროვნება სამედიცინო პუნქტთან.

გ) თუ სტუდენტის ან დაწესებულების თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე ეჭვქვეშ დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოება, კოლეჯში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს აცნობოს დაწესებულების მედდას და სთხოვოს მას ავადმყოფის ადგილზე გასინჯვა. დაწესებულების მედდა ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს თხოვნა.

დ) აუცილებლობის შემთხვევაში დაწესებულების მედდამ დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს სასწრაფო დახმარება და საჭიროების შემთხვევაში სხვა სამსახურები (პოლიცია და ა.შ).

ე) სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოძახებისას, დაწესებულების მედდამ ოპერატორს უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია, კერძოდ:

ე.ა. საკუთარი ტელეფონის ნომერი;

ე.ბ. დაწესებულების მისამართი;

ე.გ. ინფორმაცია შემთხვევის შესახებ;

ე.დ. დაზარალებულთა რაოდენობა, სქესი, ასაკი და ზოგადი მდგომარეობა;

ე.ე ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაცია.

დაწესებულების მედდის ძირითადი ფუნქციებია:

ა) დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტებისთვის უსასყიდლოდ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;

ბ) დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტებისთვის თავისი კომპეტენციის ფარგლებში უსასყიდლოდ კონსულტაციის გაწევა;

გ) კოლეჯში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობა;

დ) შესაძლებლობის ფარგლებში აუცილებელი ღონისძიებების გატარება დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

ე) ამ ამოცანების ეფექტურად შესრულების მიზნით, დაწესებულების მედდას გამოყოფილი აქვს სათანადო ინვენტარითა და სამკურნალო საშუალებებით აღჭურვილი ოთახი.

დაწესებულებას ყველა სასწავლო ბაზაზე (სოფ. წინამძღვრიანკარი, დაბა თიანეთი, სტეფანწმინდა) ჰყავს კვალიფიციური მედდა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

**დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.**

დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებულია **უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის“** მე-5 მუხლით დარეგულირებულია უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მექანიზმები, რომლის მიხედვით: დაწესებულების შესაბამისი პასუხისმგებელი პირი/ები ვალდებული არიან მუდმივად აკონტროლონ კოლეჯში კორიდორები და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრან იგი. დაწესებულების შენობაში შესვლა დასაშვებია საშვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დაცვის თანამშრომლები ვალდებულნი არიან გადასცენ საშვი ან/და შეუშვან შენობაში სტუმარი მხოლოდ პირადობის ან მართვის მოწმობის მონაცემების წარდგენის საფუძველზე და შესაბამის ჟურნალში მიუთითონ:

ა) სტუმრის სახელი და გვარი;

ბ) დამხვედრი/საშვის დამშვები თანამშრომელი;

გ) კოლეჯში შემოსვლის თარიღი და დრო.

სტუმრის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა რჩება დაცვის თანამშრომელთან მანამ, სანამ პიროვნება დაწესებულების შენობას არ დატოვებს. სტუმარი ვალდებულია საშვზე ხელი მოაწერინოს დაწესებულების თანამშრომელს, ვისთანაც იმყოფებოდა იგი. ყველა სტუდენტი ვალდებულია თან იქონიოს პირადობის მოწმობა ან სხვა მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი და მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს დაცვის თანამშრომლებს კოლეჯში შესვლისას. სხვა შემთხვევაში იდენტიფიცირება ხდება ადმინისტრაციაში მონაცემთა ბაზის მეშვეობით. სტუდენტის მხრიდან ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში (ჩხუბი, დაწესებულების ინვენტარის დაზიანება, წესრიგის დარღვევა, უხამსი საქციელი, ბილწსიტყვობა და სხვა) დაცვის თანამშრომელი, რომელმაც აღმოაჩინა დარღვევა, ადმინისტრაციის შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომელთან ერთად ადგენს ოქმს, სადაც აღწერილია დარღვევის არსი, დამრღვევის მონაცემები (გვარი, სახელი, პირადი ნომერი, სპეციალობა, ჯგუფი), დამრღვევის ახსნა-განმარტება. შედგენილი ოქმი განსახილველად გადაეცემა დისციპლინურ კომისიას, რომელიც ხელმძღვანელობს დაწესებულების შინაგანაწესით/ეთიკის კოდექსით.

დაწესებულებასა და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ სამმართველოს შორის 2018 წლის 31 დეკემბერს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №290 ხელშეკრულება და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების საგანია დაწესებულების სოფ. წინამძღვრიანთკარის ბაზაზე არსებული ადმინისტრაციული კორპუსის საპოლიციო ძალით დაცვა. დაბა თიანეთის ბაზაზე დაწესებულებას ყავს 3 დარაჯი, ხოლო სტეფანწმინდის ბაზაზე - 2 დარაჯი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

*ქ. თბილის, 2019*

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 8 ოქტომბრის №04-101 ბრძანებით დამტკიცებულია თამბაქოს მოხმარების წესი და გამოყოფილია ადგილები მწეველთათვის.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული **„უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“;**
2. სათანადო უწყებასთან შეთანხმებული და დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები;
3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 8 ოქტომბრის №04-101 ბრძანებით დამტკიცებულია თამბაქოს მოხმარების წესი;
4. დაწესებულებასა და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ სამმართველოს შორის 2018 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №290 ხელშეკრულება, დაწესებულების სოფ. წინამძღვრიანთკარის ბაზაზე არსებული ადმინისტრაციული კორპუსის საპოლიციო ძალით დაცვის თაობაზე;
5. მედდებისა და დარაჯების პირადი საქმეები;
6. სამედიცინო საშუალებების ფლობის დოკუმენტაცია;
7. მედდასთან მომართვიანობის აღრიცხვის ჟურნალები;
8. ვიაზუალური დათვალეირება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის/პროფესიული სტუდენტებისათვის. სოფ. წინამძღვრიანკარისა და სტეფანწმინდის ბაზაზე შენობის ეზოდან შესაძლებელია როგორც პანდუსით, ისე ლიფტით სარგებლობა. დაბა თიანეთი ბაზაზე მოწყობილია პანდუსები.

დაწესებულების სამივე სასწავლო ბაზაზე სსსმ პირებისათვის ადაპტირებულია სველი

წერტილები. დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს სსსმ პირთა მხარდაჭერას.

დაწესებულების წარმომადგენელთა ინტერვიურებისას გაირკვა, რომ თიანეთისა და სტეფანწმინდის ბაზაზე სსსმ პროფესიული სტუდენტების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის აყვანას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანდებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
2. ინკლუზიური განათლების სპეციალისტის პირადი საქმე;
3. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შპს „მაგთიკომთან" გაფორმებული აქვს ხელშეკრულება უწყვეტი ინტერნეტკავშირის ფლობის შესახებ. 2019 წლის 9 იანვარს გაფორმებულია NAT180020062 ხელშეკრულება „დომენური სახელისა და ჰოსტინგის" მომსახურების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით. კოლეჯის ვებგვერდია www.tmk.edu.ge, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების შესახებ შემდეგი ინფორმაცია: სიახლეები, მისია და ხედვა, სტრუქტურა, დაწესებულების სამართლებრივი აქტები, საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, ინფორმაცია მასწავლებლებისა და

ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ, კოლეჯის განვითარების გეგმები, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტო გალერეა და სხვა.

ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია რეგულარულად განახლებადია და დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. ვებგვერდი [www.tmk.edu.ge](http://www.tmk.edu.ge);
2. შპს „მაგთიკომთან“გაფორმებული ხელშეკრულება;
3. 2019 წლის 9 იანვარს გაფორმებული NAT180020062 ხელშეკრულება „დომენური სახელისა და ჰოსტინგის“ მომსახურების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით;
4. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

○

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებულია **სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის წესი**, რომლის მიხედვით: დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის პროცესს დირექტორის უშუალო ხელმძღვანელობით ზედამხედველობას უწევს დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი. დაწესებულების თითოეული თანამშრომელი, მისი თანამდებობის, კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის პროცესში, დირექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრული ვადების დაცვით. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი დირექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრული ვადების დაცვით

უზრუნველყოფს დაწესებულების თანამშრომელთა მიერ ერთობლივად შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის გადაცემას დირექტორისათვის. დაწესებულების სტრატეგიული გეგმა მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტარიული სამსართლებრივი აქტით. დაწესებულების სამოქმედო გეგმას დაწესებულების დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. სასურველია ზემოაღნიშნულ დოკუმენტში გაიწეროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცედურა, პერიოდული მონიტორინგის ვადები, შესრულებული აქტივობების შეფასებისა და მათი კორექტირების/ცვლილებების შეტანის პროცედურები და აღნიშნულზე პასუხისმგებელი ორგანო/პირი/პირთა ჯგუფი.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ექვსწლიანი 2016-2021 წლების სტრატეგიიული გეგმა, რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და მიზნებიდან. დაწესებულების 2019 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2019 წლის 30 იანვრის №2 ოქმით. სამოქმედო გეგმაში მოცემულია მიზნები, ამოცანები, აქტივობები, განხორციელების ვადები, ჩართული მხარეები, პასუხისმგებელი პირი, რესურსები და ინდიკატორები.

კოლეჯში შემუშავებულია 2018 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, რომელიც მოიცავს ინფორმაციას წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების თაობაზე, თუმცა დოკუმენტში არ ჩანს მათი კავშირი დაწესებულების მიერ დაგეგმილ აქტივობებთან, არ არის მოცემული შესრულდა თუ არა ყველა აქტივობა, რაც კოლეჯმა დაგეგმა 2018 წლისთვის ან რა გახდა მათი შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების მიზეზი. კოლეჯი არ ახორციელებს სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედურ/საბოლოო ანგარიშგებას.

***ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:***

***1. რეკომენდებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის წესში გაიწეროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცედურა, მონიტორინგის პერიოდულობა, შესრულებული აქტივობების შეფასებისა და მათი კორექტირების/ცვლილებების შეტანის პროცედურები და აღნიშნულზე პასუხისმგებელი ორგანო/პირი/პირთა ჯგუფი;***

***2. რეკომენდებულია დაწესებულების მიერ შემუშავებული წლიური გეგმის შესრულების ანგარიში მოიცავდეს ინფორმაციას დაწესებულების მიერ დაგეგმილი აქტივობების შესრულების, შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების თაობაზე.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

*ქ. თბილის, 2019*

*დანართი №2*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული **სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის წესი;**
2. დაწესებულების სამეთვალყურეო საბჭოს 2019 წლის 30 იანვრის №2 ოქმით დამტკიცებული 2019 წლის გეგმა;
3. დაწესებულების 2016-2021 წლების სტრატეგიული გეგმა;
4. 2018 წლის ანგარიში.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

***ქ. თბილისი, 2019***

## 3. ადამიანური რესურსი

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-5 მუხლი ადგენს მოთხოვნებს კოლეჯში დასაქმების მსურველთათვის, კერძოდ: კოლეჯში სამუშაოდ მიიღება 18 წლის ასაკს მიღწეული ქმედუნარიანი პირი, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვს სათანადო ცოდნა და უნარები. სამსახურში მიღებასთან დაკავშირებულ დამატებით მოთხოვნებს საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს დაწესებულების დირექტორი. შინაგანაწესის მე-7 მუხლის მიხედვით, დაწესებულების მიერ დასაქმების მსურველთა შერჩევისას, კანდიდატთან გასაუბრებასთან ერთად, შესაძლებელია გამოყენებული იქნას კონკურსით შერჩევის წესიც. კანდიდატთა კონკურსის წესით შერჩევისას კოლეჯი ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. დასაქმების მსურველი პირის სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, ხოლო კონკურსის შემთხვევაში საამისოდ შექმნილი საკონკურსო კომისია ხმათა უმრავლესობით. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მოადგილე. პირის სამსახურში აყვანა ფორმდება წერილობითი შრომითი ხელშეკრულებით ან/და დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, გამოსაცდელი ვადით ან მის გარეშე. დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. დაწესებულების მიერ თითოეული ადმინისტრაციული თანამდებობისთვის შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ფორმულირებულია შემდეგნაირად: პოზიციის დასახელება, მინიმალური განათლება, კვალიფიკაცია, მინიმალური სამუშაო გამოცდილება, ენების ცოდნა, კომპიუტერული პროგრამები, საკანონმდებლო აქტების ცოდნა და სხვა მოთხოვნები. დაწესებულების მიერ ადმინისტრაციული პერსონალისადმი დადგენილი მინიმალური განათლების კომპონენტი დაკმაყოფილებულია და შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობასთან.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

შინაგანაწესი;
2. ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;
3. ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაოს აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთოვნები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი არეგულირებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და თანამდებობაზე მიღების პირობებს.

**ინფორმაციის ტექნოლოგიის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას ჰყავს:

- ზოგადი მოდულების განმახორციელებელი 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის: 8 - დაბა თიანეთის ბაზაზე, 12 - სოფ. წინამძღვრიანკარის ბაზაზე.
- პროფესიული მოდულების განმახორციელებელი 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის: 2 - დაბა თიანეთის ბაზაზე, 3 - სოფ. წინამძღვრიანკარის ბაზაზე.

სოფ. წინამძღვრიანკარის ბაზაზე **ინფორმაციის ტექნოლოგიის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას ჰყავს სულ 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 30/15 შეადგენს 2-ს.

დაბა თიანეთის ბაზაზე **ინფორმაციის ტექნოლოგიის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას ჰყავს სულ 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 30/10 შეადგენს 3-ს.

*დანართი №2*

**ინფორმაციის ტექნოლოგიის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანად წარმართვისა და თანამედროვე მიდგომებით სწავლების განხორციელებისათვის რეკომედებულია პროფესიული მოდულების განმახორციელებელ ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელს ჰქონდეს IT-Essential-ის სასწავლო კურსის ინსტრუქტორის სტატუსი. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს აღნიშნული სტატუსი უდასტურდებოდა მხოლოდ ერთ პროფესიული განათლების მასწავლებელს.

**ბუღალტრული აღრიცხვის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას ჰყავს:

- ზოგადი მოდულების განმახორციელებელი 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის: 3- დაბა თიანეთის ბაზაზე, 6 - სოფ. წინამძღვრიანკარის ბაზაზე, 3 - სტეფანწმინდის ბაზაზე;
- პროფესიული მოდულების განმახორციელებელი 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის: 2 - დაბა თიანეთის ბაზაზე, 2 - სოფ. წინამძღვრიანკარის ბაზაზე, 1-სტეფანწმინდის ბაზაზე;

სოფ. წინამძღვრიანკარის ბაზაზე **ბუღალტრული აღრიცხვის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას ჰყავს სულ 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 30/8 შეადგენს 3,75-ს.

დაბა თიანეთის ბაზაზე **ბუღალტრული აღრიცხვის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას ჰყავს სულ 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 20 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 20/5 შეადგენს 4-ს.

სტეფაწმინდის ბაზაზე **ბუღალტრული აღრიცხვის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას ჰყავს სულ 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 20 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 20/4 შეადგენს 5-ს.

**ბუღალტრული აღრიცხვის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, თუმცა, დაბა თიანეთის ბაზაზე პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის გაზრდა.

**მეხილეობის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას ჰყავს:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

*ქ. თბილისი, 2019*

- ზოგადი მოდულების განმახორციელებელი 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის: 5 - დაბა თიანეთის ბაზაზე, 6 - სოფ. წინამძღვრიანკარის ბაზაზე;
- პროფესიული მოდულების განმახორციელებელი 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის: 5 - დაბა თიანეთის ბაზაზე, 8 - სოფ. წინამძღვრიანკარის ბაზაზე. დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების მიზნით, თიანეთის ბაზაზე დაწესებულებას ჰყავს 2 ინსტრუქტორი.

სოფ. წინამძღვრიანკარის ბაზაზე **მეხილეობის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას ჰყავს სულ 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 30/14 შეადგენს 2.1-ს.

დაბა თიანეთის ბაზაზე **მეხილეობის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დუალური განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას ჰყავს სულ 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი და 2 ინსტრუქტორი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 10 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 10/10 შეადგენს 1-ს.

**მეხილეობის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

**რძის პროდუქტების წარმოების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას ჰყავს:

- ზოგადი მოდულების განმახორციელებელი 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის: 5 - დაბა თიანეთის ბაზაზე, 9 - სოფ. წინამძღვრიანკარის ბაზაზე;
- პროფესიული მოდულების განმახორციელებელი 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის: 9 - დაბა თიანეთის ბაზაზე, 8 - სოფ. წინამძღვრიანკარის ბაზაზე. დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების მიზნით, თიანეთის ბაზაზე დაწესებულებას ჰყავს 3 ინსტრუქტორი, სოფ. წინამძღვრიანკარის ბაზაზე 3 ინსტრუქტორი.

სოფ. წინამძღვრიანკარის ბაზაზე **რძის პროდუქტების წარმოების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას ჰყავს სულ 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი, 3 ინსტრუქტორი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 15 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 15/17 შეადგენს 0,9-ს.

დაბა თიანეთის ბაზაზე **რძის პროდუქტების წარმოების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დუალური განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას ჰყავს სულ 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი და 3 ინსტრუქტორი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 10 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ

*დანართი №2*

სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 10/14 შეადგენს 0,7-ს.

რძის პროდუქტების წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

*ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:*

*1. რეკომენდებულია ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანად წარმართვისა და თანამედროვე მიდგომებით სწავლების განხორციელებისათვის, პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჰქონდეთ IT-Essential-ის სასწავლო კურსის ინსტრუქტორის სტატუსი;*

*2. რეკომენდებულია ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის გაზრდა.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **რძის პროდუქტების წარმოება,** რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 23 სექტემბრის №04-95 ბრძანებით;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **მეხილეობა,** რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 23 სექტემბრის №04-95 ბრძანებით;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **ინფორმაციის ტექნოლოგია,** რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 23 სექტემბრის №04-95 ბრძანებით;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **ბუღალტრული აღრიცხვა,** რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 23 სექტემბრის №04-95 ბრძანებით;
6. პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
7. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემა (**evet.emis.ge**).

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

*ქ. თბილისი, 2019*

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-7 მუხლი არეგულირებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის პროცედურებს. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა დაწესებულების მიერ პერსონალის შერჩევის პროცედურები და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები. დაწესებულება იცავს შიდა მარეგულირებელი აქტებისა და საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
2. პერსონალის პირადი საქმეები;
3. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

*ქ. თბილისი, 2019*

*დანართი №2*

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბუღალტრული აღრიცხვა (1) | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411 | 99 | 129 | ქართული | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინამძღვრიანთკარში | 0 | 30 |
| | | | | | | | დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა N21 | 0 | 20 |
| | | | | | | | დაბა სტეფანწმინდა | 0 | 20 |
| 2 | ინფორმაციის ტექნოლოგია (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612 | 60 | 75 | ქართული | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინამძღვრიანთკარი | 0 | 30 |
| | | | | | | | დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა N21 | 0 | 20 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

*ქ. თბილის, 2019*

*დანართი №2*

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | მეხილეობა (1) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში 0811 | 90 | 120 | ქართული | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინამძღვრიანთკარი | 0 | 30 |
| | მეხილეობა (2) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში 0811 | 90 | 120 | ქართული | დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა N21 | 0 | 10 |
| 4 | რძის პროდუქტების წარმოება (2) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში 0721 | 85 | 115 | ქართული | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინამძღვრიანთკარი | 0 | 15 |
| | | | | | | ქართული | დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა N21 | 0 | 10 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------

*ქ. თბილის, 2019*

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი №1. - ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი №2. - დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 11 ნომებრის №04-123 ბრძანება ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე
დანართი №3. - დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელებაში ჩართულ საწარმოებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
დანართი №4. -პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისები
დანართი №5. -პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების დოკუმენტები
დანართი №6. -პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის დოკუმენტები
დანართი №7. - კოლეჯის დირექტორის ბრძანება ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე
დანართი №8. - სატენდერო დოკუმენტაცია
დანართი №9. - პერსონალის განცხადება
დანართი №10. - ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.

16.12.2019
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------